ნოემბერი, 1938 წ. პარიზი. № 6 (85) Paris, Novembre 1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲯ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.



ᲙᲐᲠᲚ ᲙᲐᲣᲪᲙᲘ

1854 — 1938

კარლ კაუცკი

17 ოქტომბერს ამსტერდამში გარდაიცვალა სოციალიზმის დიდი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი. გარდაცვალების წინდღით მას 84 წელი შეუსრულდა. მაგრამ მისი ამ ქვეყნიდან სამუდამოთ განშორება არა თუ ყველასათვის უადვილად სამწუხარო გახდა, არამედ ბევრთათვის ეს მოულოდნელიც იყო. კაუცკის ახლო მეგობრები და ნაცნობები, რომელნიც მას ამ ბოლო ხანებში ხვდებოდენ და მასთან კავშირი ჰქონდათ, გადმოგვცემენ, რომ ეს დიდი ადამიანი, მიუხედავად მისი წლოვანებისა, ეხლოდაც, როგორც წინეთ—მრავალი ათეული წლების განმავლობაში, ყოველდღიურად დილიადან საღამომდე სისტემატიურ და დაუღალავ მუშაობას ეწეოდა. და ამიტომ მის ასე უეცრივ ამ წუთისოფლიდან წასვლას არავინ მოელოდა. მაგრამ ბუნებას თავისი კანონი აქვს; ადამიანის ორგანიზმიც მუდმივ მოქმედებას, შრომას, ენერგიის ხარჯვას ვეღარ უძლებს, დაბოლოს ის იცვითება, იღლება და მისი სასიცოცხლო ფუნქციები სამუდამოთ ჩერდება.

კარლ კაუცკის დიად ცხოვრებაზე და მის მოღვაწეობაზე ლაპარაკის დრო ჯერ არ არის. ეხლა ის ისტორიას ეკუთვნის და მას შესაფერისად ეს უკანასკნელი დაიფასებს. ჩვენ კ.ვ გვინდა მხოლოდ გამოვსთქვათ ზოგი მოსაზრებანი, რომელიც ჩვენში ვამოწვეულია კაუცკის დაკარგვის განცდებით.

კარლ კაუცკისთან ერთად ჰქრება მეცნიერული სოციალიზმის უდიდესი თეორეტიკოსი, რომლის აზროვნება და ნაშრომნი ნახევარ საუკუნის განმავლობაში ანაყოფიერებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. მასთან ერთად ჰქრება აგრეთვე სოციალიზმის ყველაზე უფრო ჭკვიანი, კეთილშობილი და გაბედული მებრძოლი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მძლავრ ბურჟუაზიულ განვითარებამ ძლიერი მუშათა მოძრაობა წარმოშვა. მუშათა მოძრაობის ამ ძლიერ გაქანების ხელმძღვანელებიც უთუოდ ძლიერი პიროვნებები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთნიც იყვნენ: ბებელი, ლიპკნეხტი, ბერნშტეინი გერმანიაში; ვედი, ლაფარგი, ედუარდ ვაიანი, ჟორესი საფრანგეთში; ჰანდანი ინგლისში; ვიქტორ ადლერი ავსტრიაში; ანსელე ბელგიაში; ტროლსტრა, ვან კოლი ჰოლანდიაში; ბრანტინგი შვეციაში; ტურატი იტალიაში; ჰლეგანოვი რუსეთში; იგლეზიასი ისპანიაში. სოციალიზმის ყველა ამ უკვე გარდაცვლილ კარიფეებთა შორის მარქს და ენგელსის შემდეგ ყველაზე უფრო დიდი გავლენა საერთაშორისო სოციალიზმზე უთუოდ კაუცკის ჰქონდა.

ვინც, თუ გინდ ნაწილობრივ, იცნობს კარლ კაუცკის უამრავ ნაწერებს, მისთვის ცხადია, რომ ის უაღრესად სწავლული და დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი იყო. კაუცკისათვის ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, კლასიკური და ახალი ფიოლოსოფია ისეთივე ადვილად მისაწდომი დარგებია, როგორც სოციოლოგია, ისტორია და პოლიტიკური ეკონომია. მისი ნაშრომი, მისი ნაწერები ენციკლოპედიური ხასიათის არის და მათი ერთი გახედვით წარმოდგენა თავბრუდახვევას იწვევს.

სოციალიზმის სფეროში არ არსებობს არც ერთი დარგი, რომელსაც კაუცკი არ შეხებოდეს. იქ დაღი არ დაეჩინოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს. მას განსაცვიფრებელი ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ყველა ქვეყნების მუშათა მოძრაობაზე და, როცა რომელიმე პარტიული მუშაკი მას თავის ქვეყნის ამბებზე ეგაასებოდა, ის გაკვირვებული რჩებოდა კაუცკის ღრმა ცოდნით და გაგებით სხვების მგზომარეობისა და ცხოვრების. კაუცკიზე გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას ის, რასაც საზოგადოდ ამბობენ კონდორსეზე: კაუცკისთან მუსაიფის დროს ყოველივე სპეციალისტი მისგან სწავლობდა რაიმეს თავის სპეციალურ დარგში.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა, რომ კაუცკის ყოველივე შრომა და ნაწარმოები არის შედეგი და ნაყოფი მისი ძლიერი განცდების და ენთუზიაზმისა. ის არასოდეს არ ყოფილა ცხოვრებიდან მოწყვეტილი და აბსტრაქტიული მოაზროვნე, სადმე ზორს კაბინეტში გამომწყვდეული და მხოლოდ თავის წიგნებში თავჩარგული. თეორეტიკოსი, პირველ ყოვლისა ის იყო მებრძოლი. ის გაფაცეცებით თვალყურს ადევნებდა ცხოვრებას და მის რთულ მოვლენებს, მონაწილეობას იღებდა წარმოებულ ბრძოლებში, ხარობდა საეროთ სიხარულით და იმედებით გამარჯვების დროს, ამხნევებდა და ახალი ბრძოლისაკენ იწვევდა მებრძოლთ დამარცხების შემდეგ.

წარსული გამოცდილება-დაკვირებანი, რასაც კაუცკი თეორიულად აჯამებდა, იყო საუკეთესო ლამპარი ყოველდღიური ბრძოლის და ცხოვრების რთულ საკითხების მართლად გასაშუქებლად და გადასაწყვეტად.

მისი ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა, მიუხე-



კარლ კაუცკი და მისი მეუღლე ლუიზა.

დავად მათი დიდი თეორიული მნიშვნელობისა და ხასიათისა, შთაგონებული და ნაკარნახევია შექმნილ მდგომარეობით და მუშათა კლასის ამა თუ იმ ბრძოლის ეპიზოდებით. როცა სოციალისტურ მოძრაობას წინ სავალ გზაზე რაიმე ახალი დაბრკოლება აღმოუჩნდებოდა და ამ დაბრკოლების დასაძლევად აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართებოდა, კაუცკი მუდამ მზად იყო კალამი ხელში აეღო და, ბროშურის, თუ წიგნის სახით, სადაო საკითხი მთელი მისი ავტორიტეტით, ფაქტების ღრმა ცოდნით და გაგებით მკითხველთათვის ნათლად გაერკვია და გაეშუქებია. და უმეტეს შემთხვევებში, თუ ყოველთვის არა, კაუცკის აზრს პრაკტიკულ მუშაობაში ჩამბულთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ვითომც კაუცკი მარქსის უბრალო კომენტატორი და პოპულარიზატორი იყოს. ის ამავე დროს უაღრესად ორიგინალური მოაზროვნეა. ვისაც კი წაუკითხავს მისი ორი ვეებერთელა ტომი ისტორიულ მატერიალიზმზე, რომელზედაც მან 20 წელიწადი იმუშავა და მასალები აგროვა, ის დაინახავდა, რომ კაუცკი ამ შრომაში იცავს, ხსნის, ანვითარებს და ავსებს მარქს-ენგელსის დებულებებს, რომელიც უმთავრესად სოციოლოგიის სფეროს ეკუთვნის, მაგრამ ის ამავე დროს იკვლევს და ძიებს საზღვარს ბიოლოგიის და სოციოლოგიის შორის, რაზედაც მის წინ არც მარქს-ენგელს და არც სხვა მათ მიმდევრებს უმუშავნიათ.

კაუცკი იშვიათი ხელოვნებით სარგებლობდა ისტორიული მატერიალიზმით, როგორც კვლევაძიების მეთოდით და ცხოვრების რთულ მოვლენების ასახსნელ იარაღით. ამ მხრივ მას სოციალისტურ ინტერნაციონალში ბადალი არ ყავდა.

კაუცკი ძლიერ კარგად იცნობდა რუსეთს, ახლო ადევნებდა თვალყურს იქაურ ამბებს და მის შესახებ წარსულში ხშირად გამოუთქვამს თავისი აზრი. მაგრამ ხშირად სწერდა ის რუსეთზე მას შემდეგ, რაც იქ ბოლშევიკები გაბატონდენ, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და სოციალიზმის სახელი და ცნება წარყვნეს. როცა ბოლშევიკებს გამოუჩნდენ დამცველები სოციალისტურ ინტერნაციონალში და ზოგმა მათგანმა ბოლშევიზანობაც კი დაიწყო, მათ კაუცკი სასტიკად შეებრძოლა და ეს ბრძოლა და წინააღმდეგობა მას არასოდეს არ შეუწყვეტია.

კაუცკი მუდამ ამტკიცებდა, რომ დემოკრატია არა მხოლოდ გზაა სოციალიზმისაკენ, არა მხოლოდ საშუალებაა, არამედ ჩვენი მიზანის—სოციალიზმის ინტეგრალური ნაწილია. სოციალიზმს არ შეუძლია უდემოკრატიოთ და მის გარეშე არსებობა; გარდა დემოკრატიისა სხვა გზა არ არსებობს სოციალიზმისაკენ, დიქტატურა კი ჩვენი გზა არ არის და ვერ იქნებაო.

ის სასტიკად ებრძოდა ავრეთვე ბოლშევიზანების იმ აზრს, რომ, ვითომც, ბოლშევიკური დღევანდელი რეჟიმი პროგრესად და რევოლიუციად ჩითვლებოდეს, მას თავგამოდებით უნდა ვიცავდეთ და მისი გადადება და შეცვლა, ვითომც, უთუოდ რეაქციის დამყარებას გამოიწვევდეს. წინააღმდეგ, კაუცკი მუდამ ფიქრობდა, რომ რუსეთში შეუძლებელი არ იყო ფართე ხალხური მოძრაობის გამარჯვება და ასეთ რამეს ის დიდის თანაგრძნობით უყურებდა. ის დასცინოდა მათ, ვინც ცდილობდა ემტკიცებია, რომ ბოლშევიზმის რუსეთში გაკრობა საერთოდ ევროპაშიდაც რეაქციის გაძლიერებას მოაწყვებდა. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ თვით ბოლშევიზმის არსებობა რუსეთში ზრდიდა და კვებავდა მსოფლიო რეაქციას.

კაუცკის არ სწამდა არც საერთო ფრონტი კომუნისტებთან. მისი აზრით ყველაზე უფრო დიდი მტერი ნამდვილი და რეალური ერთი ფრონტისა და მუშათა კლასის გაერთიანებისა იყო პირველყოვლისა მოსკოვი, რომელიც თალლითურად ამ ფრონტის შესახებ ამდენს ლაპარაკობდა. საერთო ფრონტი მისთვის შეუძლებელი იყო, სანამ რუსეთში დიქტატურა ბატონობდა, რომელიც მუდამ იმის ცდაშია, რომ მსოფლიო სოციალისტური მოძრაობა დაკსაკსოს და საერთოდ პროლეტარიატი თავის ბრძანებებს და დირექტივებს დაუმორჩილოს.

კაუცკი, როგორც ყველა სხვა საკითხების, ისე ეროვნული საკითხისაც დიდი მცოდნე იყო და მისი ავტორიტეტი ამ სფეროშიდაც ცნობილი იყო. კაუცკი ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების პრინციპს აღიარებდა და იცავდა. მისთვის ერთი ერი ერთი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო.

ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა მექმთაგე და მეგობარი ის ჩაგრული ერთა მტკიცე და თავგამოდებული დამცველი იყო. განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულება და სიყვარული ჰქონდა მას ქართველებისადმი. მან საქართველოში რამოდენიმე თვე იცხოვრა, ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება დეტალურად შეისწავლა და ამ ერს დიდ მომავალს უქადდა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ კაუცკი, აღშფოთებული ამ ბარბაროსული აქტით, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ პროპაგანდას აწარმოებდა და ყველას ჩვენ დიდის იმედით მხნეობის და გამძლეობისაკენ მოგვიწოდებდა.

კაუცკის თვით პირადათ დაატყდა თავს უბედურება. ჯერ მისთვის შეუძლებელი შეიქნა გერმანიაში ცხოვრება, შემდეგ მას აგსტრიაც უნდა მიეტოვებინა. ათეული წლები მან ამ ქვეყნებში იცხოვრა და იმოდვაწევა, იქაურ მშრომელთ ამდენი სარგებლობა მოუტანა და დვაწლი დასდო, ბოლოს კი მათ შორის ცხოვრებაც კი ვერ შესძლო. კიდევ მეტი. კაუცკის უკანასკნელი წლები და თვეები გამწარებული იყო იმ ამბითაც, რომ გერმანიის საკომუნისტო ცალიერში მისი ორი ვაჟი იმყოფება და ის თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრო მათ იქიდან გამოყვანასა და განთავისუფლებას.

ავსტრიის ანშლუსის შემდეგ კაუცკი ჩეხოსლოვაკიაში გადმოსახლდა, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა აქედან ამსტერდამში გადასულიყო და იქ ეცხოვრა.

მიუხედავად ყველა ამ არასასიამოვნო ამბებისა მოხუცი კაუცკი მორალურად მაინც არ გატყდა და სულიერად არ დაეცა. დაუშრეტელი ენერგიით ის მუშაობას და ბრძოლას განაგრძობდა და მომავალს იმედით შეჰყურებდა.

როცა ჩეხოსლოვაკიიდან ამსტერდამში უნდა წასულიყო, კაუცკი, თურმე, ხშირად იხსენებდა საქართველოს, ნატრობდა მის თავისუფლებას, იქ წასვლას და იქ სამუდამოდ მოსვენებას.

ეს დიდი და კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც საქართველოსათვის, რაც კი შეეძლო, ყველაფერი გააკეთა და თან წაიღო მისდამი ღრმა სიყვარული, სამუდამოდ დარჩება ქართველი ერის ხსოვნაში.

კაუცკის გრძელი ცხოვრების მანძილზე მის საუკეთესო მეგობარს, მის მუდმივ თანაშრომელს, მის მეუღლეს ლუიზას, რომელსაც გასულ აგვისტოში 74 წელი შეუსრულდა, ქართველი მეგობრები უღრმეს სამძიმარს უთვლიან, უსურვებენ მას კიდევ დიდი ხნით კარგად ყოფნას და ჯანმრთელ ცხოვრებას.

ვ. ფეარჯალაძე.

კარლ კაუცკის ცხოვრება

კაუცკი დაიბადა 1854 წლის 16 ოქტომბერს პრაღაში. მამა მისი იყო მხატვარი, ეროვნებით ჩეხი, დედა კი ავსტრიელი გერმანელი, ერთ დროს ცნობილი მსახიობი, შემდეგ ავტორი რამოდენიმე სოციალისტური შინაარსის რომანისა. კაუცკის ბებია მამით პოლონელი იყო, მისი დედის ბაბუა დედით კი უნგრელი, რომელსაც ცოლად იტალიელი ქალი ყავდა. ამიტომაც კაუცკის წმიერად უყვარდა ხუმრობით ლაპარაკი, რომ მისი ეროვნება ინტერნაციონალური იყო.

შვილი გუსიტ-ნაციონალისტ ჩეხისა, კაუცკის უკვე ახალგაზდობიდანვე აქვს შეგნება თავის ეროვნებისა. ის ახალგაზდობაში ხდება მოწმე გარიბალდის ბრძოლებისა იტალიის განსთავისუფლებლად; ის ხედავს, როგორ უნგრეთის ეროვნული გმირი-კოშუტი იძულებულია მიატოვოს თავის სამშობლო, მეტერნიხის მიერ დაპყრობილი და დამონებული, და უცხოეთში გადაიხვეწოს. გარიბალდი, კოშუტი, იოანე გუსი იდეალური პიროვნებებია ახალგაზდა კაუცკისათვის.

მაგრამ მალე ნაციონალურ და დემოკრატიულ გავლენას კაუცკიზე ემატება გავლენა სოციალური. პარიზის კომუნა მასზე ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას და 1875 წელს, როცა ის კიდევ ვენის უნივერსიტეტის სტუდენტია, ერთ სოციალდემოკრატიულ დაჯგუფებას უერთდება.

იმ დროს სოციალდემოკრატია საერთოდ სუსტი იყო და მისი არსებობაც კი ბურჟუაზიულ წრეებში სიცილს იწვევდა. მაგრამ კაუცკი ისეთ რამეს არ ეპუებოდა, პატრუნში ენერგიულად მუშაობდა და ამავე დროს ისტორიის შესწავლას დიდ ყურადღებას აქცევდა.

ვენის პოლიცია მას უკვე კარგად იცნობს და გაფაციცებით თვალყურს ადევნებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კაუცკი სტოვებს ვენას და გადადის ციურიხში, სადაც ის ხვდება ცნობილ გერმანელ სოციალისტებს, მათ შორის ედუარდ ბერნშტეინს. კაუცკი სერიოზულად ეცნობა და სწავლობს მეცნიერულ სოციალიზმს. ის მიდის ლონდონში, ხვდება იქ მარქს და ენგელს და მათთან ამამს ინტიმურ კავშირს. შემდეგ, როცა კაუცკი დროებით ჩადის ვენაში ვიქტორად ადლერთან და ავსტრიის ახალგაზდა სოციალისტურ მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად, მისი რეპუტაცია უკვე თვალსაჩინოა და ის სოციალიზმის ერთ დიდ იმედათ ითვლება.

1883 წელს, მარქსის გარდაცვალების სამი თვით წინ, კაუცკი აარსებს ციურიხში ემიგრანტ გერმანელ სოციალდემოკრატებან ერთად, რომელნიც ბისმარკის განსაკუთრებული კანონების ძალით გერმანიიდან გაძევებული იყვნენ. მეცნიერულ ჟურნალ «Die Neue Zeit». ჯერ ეს ჟურნალი გამოდიოდა ციურიხში, შემდეგ შტუტგარტში და მას უდიდესი გავლენა ჰქონდა სოციალისტური აზროვნების მეცნიერულად დამუშავება-განვითარებაზე. «Die Neue Zeit»-ი გერმანიის სოციალდემოკრატიის მთავარი თეორეტიკული და მეცნიერული ჟურნალი იყო. მთელი ქვეყნის სოციალისტები თანამშრომლობდენ ამ ჟურნალში. როგორც სამართლიანად ამბობდენ, ის იყო მარქსიზმის ლაბორატორია და მას 1917 წლამდე განუწყვეტლივ კაუცკი ხელმძღვანელობდა.

კარლ კაუცკის სიცოცხლე განუყოფელია გერმანიის სოციალდემოკრატიის ისტორიიდან. ბისმარკის განსაკუთრებული კანონების გაუქმების შემდეგ გერმანიის სოციალდემოკრატია ძალზე იზრდება და მძლავრ ორგანიზმად ხდება. და როცა ამ პარტიას ახალი პროგრამა სჭირდება, მისი პროექტის შედგენა კაუცკის ენდობა. 1892 წელს ეს პროექტი მიღებულ იქნა პარტიის ოფიციალურ პროგრამად, რომელსაც ეწოდა სახელათ ერფურტის პროგრამა და რომელზედაც აღიზარდა სხვა ქვეყნების რამოდენიმე თაობა.

ამ პროგრამის მიღების 5-6 წლის შემდეგ ედუარდ ბერნშტეინმა სასტიკად გაიოლაშქრა მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი რადიკალური რევიზია. დაიწყო ცხარე კამათი «ორტოდოქსების» და «რევიზიონისტების» შორის. კაუცკისთან ერთად ამ კამათში ბერნშტეინის წინააღმდეგ იყვნენ: ბებელი, როზა ლუქსემბურგი, პლეხანოვი და სხვები. ეს ბრძოლა და კამათი დამთავრდა რევიზიონისტების დამარცხებით და ორტოდოქსების გამარჯვებით, კაუცკი კვლავ განაგრძობდა მარქსისტული აზროვნების ხელმძღვანელობას. ის იყო ტვინი იმ დიდ პარტიისა, რომლის ლიდერებათ ითვლებოდნენ ლიპნეხტი, ბებელი, ზინგერი და ბევრი სხვა გამოჩენილი პიროვნებები.

კარლ კაუცკის ნაწერები, მისი წიგნები, ბროშურები, ჟურნალებში და გაზეთებში მოთავსებული მისი წერილები მთელ ბიბლიოთეკას გაავსებდა და მისი აღნუსხვა ადვილი საქმე არ არის. ჩვენ შეგვიძლია აქ დავკმაყოფილდეთ ზოგიერთი მათზე მითითებით, როგორიც არის: კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება, თომას მორის უტოპია, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1789 წელს, ერფურტის პროგრამა, სოციალდემოკრატია და პარლამენტარიზმი, სოციალიზმის წინამორბედნი, აგრარული საკითხი, ანტიბერნშტეინი, სოციალდემოკრატია და კატლო�იზმი, ქრისტიანობის წარმოშობა, სოციალდემოკრატია და საყოველთაო გაფიცვა, სოციალდემოკრატია და კოლონიალური საკითხი, ნაციონალური საკითხი, სოციალური რევოლუცია, ბუნება და საზოგადოება და სხვა.

დაიწყო დიდი ომი. კაუცკის არა თუ მისი მუშაობა არ შეუწყვეტია, არამედ ის ოდი აქტიურ მონაწ�ილეობას იღებდა პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ომის დროს კაუცკი გამოეყო პარტიის მეუმრავლესობეს, რომელთაც შაიდემანი, ებერტი და ნოსკე მეთაურობდენ, და ჰააზესთან და ბერნშტეინთან ერთად 1917 წელში დამოუკიდებლების პარტია დაარსეს. ამაზე ლაპარაკის დრო ეხლა არ არის,

მაგრამ გაკვრით უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლება კაუცკის ეს ნაბიჯი იყო უდიდესი შეცდომა, რომელიც მას თავის მდიდარ და ნაყოფიერ მოღვაწეობის გასწვრივ ჩაუდენია.

არმისტისის შემდეგ კაუცკი ხდება საგარეო საქმეთა მინისტრის აბსანაგად, რამოდენიმე ხანი რჩება ამ პოსტზე, მუშობს ამ სამინისტროს არქივში, რის შედეგად აქვეყნებს წიგნს, რომელშიდაც ამტკიცებს გერმანიის მთავრობის დანაშაულობას საერთაშორისო კონფლიქტის გამოწვევაში. ეს წიგნი იყო ერთნაირი აქტი მისი გაბედულობის და უშიშრობისა, რამაც მას ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი შესძინა მემარჯვენე და ნაციონალისტურ ბანაკში.

კაუცკი აგრძელებს თავის თეორეტიკულ მუშაობას და ებრძვის ბოლშევიზმს. 1918 წელს ის აქვეყნებს შრომას: პროლეტარიატის დიქტატურა. შემდეგ კი გამოდის მისი წიგნები: დიქტატურა და დემოკრატია, ტერორიზმი და კომუნიზმი, პროლეტარული რევოლიუციაა; ყველა ამ მის ნაწერებში ის სასტიკად აკრიტიკებს და ფარდას ხდის ბოლშევიზმის თეორიას და პრაქტიკას.

1921 წლის გაზაფხულზე კაუცკიმ, საქართველოში ყოფნის შემდეგ, დასწერა წიგნი სათაურით: «საქართველო, გლეხთა რესპუბლიკა», რომელშიდაც აღწერილია დამოუკიდებელი საქართველოს მდგომარეობა. ეს წიგნი შემდეგ გადაითარგმნა ინგლისურად, ავტორმა აქ დაუმატა ორი თავი, სადაც ის ილაშქრებს ჩვენში ბოლშევიკების ბარბაროსული შემოსევის წინააღმდეგ.

1929 წელს კაუცკიმ დასწერა დ. შარაშიძის წიგნისადმი («ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო») ვეებერთელა წინასიტყვაობა, რომელშიაც ის სასტიკად აკრიტიკებს ფრანგ ბოლშევიზან მწერალ ბარბიუსს.

ყველაზე უფრო მონუმენტალური შრომა (1929 წ.) კაუცკისა კი არის მისი ისტორიული მატერიალიზმი, რომელშიდაც ის გამოიყურება, როგორც უდიდესი მოაზროვნე და იდეალური ტიპი თავდადებული მებრძოლისა.

დაბოლოს მისი უკანასკნელი შრომა: ომი და დემოკრატია; ამ საკითხზე ის მუშაობდა ეს რამოდენიმე წელია. ამ შრომის ორი ტომი უკვე გამოვიდა, განზრახულ მესამე და მეოთხე ტომებს კი ვეღარ ვიხილავთ, რადგანაც, თუმცა სამუშაო იარაღით ხელში, შეწყდა მისი მაჯის ცემა...

ᲙᲐᲠᲚ ᲙᲐᲣᲪᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

კარლ კაუცკი თავისი მეუღლით საქართველოს ეტტუშია 1920 წლის სექტემბერში. გემიდან გადმოსვლის შემდეგ ᲯᲔᲠ ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲨᲘ, ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲓᲐᲜ დაწყებული კი თფილისამდე თითქმის ყველა სადგურებზე საყვარელ და პატივისაცემ სტუმრებს მიტინგებით და დემონსტრაციებით აუარებელი ხალხი ხვდებოდა და მათ ოვაციებით, თბილი გრძნობებით და შესაფერისი მისასალმებელი სიტყვებით იღებდენ.

თფილისში ჩამოსვლისას მრავალ ათასეულიან მის შესახვედრად მოწყობილ მიტინგზე კაუცკი გამოვიდა და აღელვებით იკონებდა იმ დროს, როცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფერდ. ლასალი გერმანიაში მოგზაურობდა და ყველა ქალაქებში და სოფლებში მას მუშები ხვდებოდენ...

როცა დიდ ორატორს, დიდ ტრიბუნს ლასალს, რომელიც თავისი მშვერმეტყველობით მაყურებელთ და მსმენელთ იტაცებდა და აღელვებდა, აუარებელი ხალხი ხვდებოდა, ეს არ იყო გასაკვირი, მაგრამ, როცა სწავლულს, თეორეტიკოსს და კაბინეტის მუშაკს ევროპიდან ასე შორს მდებარე პატარა ქვეყანაში ასეთნაირად იღებდენ, ეს კი კაუცკის მეტად უკვირდა.

მაგრამ საქართველოში კაუცკის ნაწერებზე არაერეგალურ წრეებში ხომ მთელი თაობა აღზდილა, ქართველ ხალხს 1905 და 1917 წლების რევოლიუციის დროს აუარებელ კრებებზე და მიტინგებზე მოუსმენია, ან კაუცკის ქართულად ხათარგმნი ბროშურები, თუ წიგნები წაუკითხავს და იქიდან გაუგია, რომ კაუცკი იყო ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა მეკრძალვე და მეგობარი და მათი თავისუფლების თავდადებული დამცველი. ამიტომაც, როცა ქართველი მშრომელნი კაუცკის მრავალრიცხოვანად ხვდებოდენ მათი გულიდან სპონტანეურად ამოხეთქილ ღრმა გრძნობებს მისდამი უხვად იჩენდენ.

კაუცკიმ სამ თვეზე ცოტა მეტი დაჰყო საქართველოში, მაგრამ საკმარისი დარჩა ეს მცირე დროც, რომ მის და ქართველ მშრომელთა შორის დამყარებულიყო მეტად ინტიმური სულიერი კავშირი.

კაუცკის იწვევდენ ხშირად ვიწრო, თუ საჯარო კრებებზე, სადაც ის დეტალურად ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის ვითარებას და მდგომარეობას. მან პროვინციებშიდაც იმოგზაურა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები დაათვალიერა.

კაუცკის ხშირად იწვევდენ აგრეთვე კერძო ოჯახებში და მას ჩვეულებრივი ქართველური გულგაშლილობით და სტუმარმოყვარეობით ხვდებოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ დიდი კაცი, მაგრამ სულ უბრალო, ზედმეწევნით თავდაბალი, მორცხვი და ნაზი ადამიანი, ის ადვილად შეეგება ჩვენ ადათს, ზნე-ჩვეულებებს და უდიდესი სიამოვნებით ქართველ მეგობართა შორის მხიარულობდა.

16 ოქტომბერს, მისი დაბადების დღეს, კაუკაციმ საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან მრავალი დეპეშა-მილოცვები, თუ სარუკრები მიიღო. ახალციხის ერობამ კაუკაცის საქართველოში ჩამოსვლის და მისი დაბადების 66 წლის შესრულების აღსანიშნავად მის სახელობის ერთი სტიპენდიაცია დაარსა. სახალხო გვარდიამ ის თავის საპატიო წევრად აირჩია და მას გვარდიის წევრობის ნიშნები მიართვა. ამ ნიშნსა, გულზე ჩამოკიდებულს, კაუკაცი ხშირად ატარებდა.

საქართველოში კაუკაცის ეპყრობოდენ არა როგორც უცხოელს, არამედ როგორც თავის საკუთარ შვილს. ამიტომაც იყო რომ კაუკაციმ თავის დაბადების დღის გამო ჩვენ გზეთში დასწერა სამადლობელი წერილი, სადაც სხვათა შორის ამბობდა: ბათომში ჩამოსვლის შემდეგ მე ვიგრძენი, რომ თით ქოს მე ვცხოვრობ არა უცხოეთში, არამედ როგორც პაპა თავის ღვიძლ შვილებსა და შვილიშვილებს შორის... თქვენ მიერ გამოთქმულ სიყვარულზე და ალ ნდობაზე ყველას გიპასუხებთ იმავე სიყვარულით და ნდობითო...

თუ რა სულიერი ინტიმური კავშირი დამყარდა კაუკაცის და ქართველ მშრომელთა შორის, ეს ნათელი გახდა 1921 წლის 4 ივნვარს, როცა მთელი თფილისის დემოკრატია კარლ და ლუიზა კაუკაცის დროშებით, მუსიკით, სიმღერით, ცეკვით, ტაშით და ვაშას ძახილით თფილისის სადგურზე ბათომისაკენ აცილებდა. თავიანთ გამოსათხოვარ წერილში კი ისინი მზუხარენით აღნიშნავდენ, რომ მათთვის უნდა ჩავიდეს საქართველოს მზე, უნდა განშორდენ ქართველ ძმებს და ეს განშორება ხდებოდა უფრო ადრე, ვიდრე ეს მათ სურდათ.

თითქმის 18 წელი გავიდა მას შემდეგ და კარლ კაუკაცი საქართველოს მზეს და მის სხივებს თავის უკანასკნელ დღეებამდე ნატრობდა.

კარლ კაუკაცის დასაფლავება

კარლ კაუკაცი დაასაფლავეს ამსტერდამში, სადაც მან თავისი უკანასკნელი თვეები გაატარა. მის დასაფლავებას დაესწრო ადგილობრივი, თუ პროვინციებიდან ჩამოსული სოციალისტური ორგანიზაციები და კაუკაცის პატივისცემლათ მოსული ხალხის რიცხვი რამოდენიმე ათეულ ათას აღემატებოდა.

დასაფლავებას დაესწრო აგრეთვე მთელი შემადგენლობა ინტერნაციონალისა, რომელიც თავის ეკზეკუტივის სხდომებიდან ბრიუსელში პირდაპირ გაემგზავრა ამსტერდამში.

სამწუხაროთ არც ინტერნაციონალის თავმჯდომარეს და არც სხვა მის წევრს—არა გოლანდიელს უფლება არ ჰქონდა ელაპარაკა, რადგანაც ინტერნაციონალის წევრები—უცხოელები იმ პირობით იყვნენ შეშვებული გოლანდიაში, რომ ისინი დასაფლავებისას სიტყვებს არ წარმოსთქვამდენ. ცხადია, გოლანდიის მთავრობა დღევანდელ რთულ მდგომარეობას უწევდა ანგარიშს და გერმანიას ერიდებოდა.

ინტერნაციონალის სახელით მეტად შინაარსიანი და თბილი სიტყვა წარმოსთქვა ეკზეკუტივის წევრმა და გოლანდიის სოციადემოკრატიის ლიდერმა ალბარდამ, რომელმაც შესაფერისად დაახასიათა კარლ კაუკაცის ცხოვრება და მოღვაწეობა. ილაპარაკეს აგრეთვე გოლანდიის პარტიის წარმომადგენელმა ფორინამ და კაუკაცის პირად მეგობართა სახელით ვოლფმა, რომლის ბინაზე ის გარდაიცვალა.

ძვირფასი ცხედარის დაწვის შემდეგ ვესტერველდის კრემატორიუმის გვერდით სალონში შეიკრიბნენ ინტერნაციონალის წევრები ლუიზა კაუკაცისთან გამოსათხოვებლად.

ლუიზა კაუკაცმ გამოთხოვებისას მადლობა გამოუცხადა ჩვენი პარტიის წარმომადგენელს ინტერნაციონალში იმ თბილი კრძნობების და სამძიმრებისათვის, რომელიც მან მიიღო ქართველი ამხანაგებისაგან და თან დაუმატა: როცა ჩემი ძვირფასი გასვენებული და მე ჩეხოსლოვაკიიდან ამსტერდამში უნდა გავმგზავრებულიყავით, ის ხშირად იგონებდა საქართველოს, ნატრობდა მის თავისუფლებას, იქ წასვლას, იქაური მზის სხივებით გათბობას და იქ საშუდამოთ მოსვენებას; სიამოვნებით იგონებდა იმ თბილ მოპყრობას, პატივისცემას და დიდ სტუმარმოყვარეობას, რომელიც მისადმი ქართველ ამხანაგებმა და მეგობრებმა გამოიჩინეს; მას ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ბევრი მეტად არასასიამოვნო ამბავი შეხვედრია და თავს დასტყოფია, მით უფრო თქვენ ქვეყანაში მიღებული სიამოვნება ყოველთვის ახსოვდა და თან წაიღო საშუდამოთ; გთხოვთ გადასცეთ ქართველ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ჩემ შვილებს და შვილიშვილებს უამბობ საქართველოზე და ვსთხოვ მათ, ის არასოდეს არ დაივიწყონო.

ლუიზა კაუკაცის სამძიმრის დეპეშები გაუგზავნეს: ნ. ჟორდანიას, ევ. გეგეჭკორმა, აკ. ჩხენკელმა, ვლასა მგელაძემ, კ. გვარჯალაძემ და საფრანგეთში მყოფ ქართველ სოციალდემოკრატების სახელით ივ. ჭავჭავიძემ. მიცვალებულის დაკრძალვას ამსტერდამში პირადად დაესწრო საქ. სოც. დემოკრატიის წარმომადგენელი ინტერნაციონალში.

კაუკაცის გარდაცვალების გამო «ბრძოლის ხმის» რედაქციამ მიიღო ამხ. ან. ჟორჟოლიანის და სხვების სამგლოვიარო წერილები.

ემიგრაციის როლი და ემიგრანტული გაერთიანება

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ქართველ ემიგრაციის დაქსაქსულობაზე და მის მავნე შედეგებზე; ყველა გონიერმა გაერთიანების საჭიროებას და ყველანი თავისებურად ასაბუთებენ ამ საჭიროებას. უდაოა, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა მის ერთგულ შვილებს უკარნახებს გაერთიანებულ და შეთანხმებულ მოქმედებას და ჩვენი ვალია გავაკეთოთ ამ მიმართულებით იმის მაქსიმუმი, რის გაკეთებაც კი შესაძლებელია. მაგრამ, რომ ეს შევსძლოთ, წინასწარ ჩვენ უნდა შეეთანხმოთ ჩვენ-ჩვენი შეხედულებანი ემიგრაციის როლზე. საჭიროა ერთნაირად გვესმოდეს ჩვენი პოლიტიკურ ემიგრაციის როლი ის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებს მის დღევანდელ სულთამხუთავივ წნეაადმეცგ; საჭიროა აგრეთვე სისწორით გავითვალისწინოთ ის მთავარი მიზეზები, რომელნიც ღღემდე ფიდ დაბრკოლებად ეღობებოდენ ყველას მიერ საჭიროთ აღიარებულ გაერთიანებას.

დავიწყოთ პირველიდან. ზოგიერთნი ემიგრაცი ის როლსა და მნიშვნელობას მეტად აზვიადებენ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ემიგრაციის გაერთიანებაზე თუ დაშლილობაზე იყოს დამოკიდებული საქართველოს განთავისუფლება თუ მისი ტყვეობაში დარჩენა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი შეცდომაა მივაწეროთ ემიგრაციას ასე გაზვიადებული მნიშვნელობა.

საქართველოს განთავისუფლების თვალებია ქართველი ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, მისი ურყევი ნებისყოფა და თავდადებული ბრძოლა სოციუპაკ ხელისუფლების წინააღმდეგ. ემიგრაცია მოწყვეტილია ბრძოლის უშუალო ასპარეზს, მაშასადამე უშუალო მონაწილეობასაც ვერ მიიღებს ამ ბრძოლაში, რომელიც ჩვენს სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალზე სწარმოებს. მას შეუძლია მხოლოდ გარედან შეუწყოს ხელი ამ ბრძოლას, ე. ი. ითამაშოს დამხმარის როლი.

საქართველო პატარა კუნძულია დიდ საბჭოთა კავშირის ოკეანეში და ამ პატარა ქვეყნის თავდადებული ბრძოლა წინდაწინეკე განწირული იქნებოდა, რომ იგი მარტო იყოს. ჩვენდა საიმედოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ხახეკარს ცოტა მეტ-ნაკლე ბობით დაჩაგრული ერები შედგენენ. ყველა ეს დაჩაგრული ერები ჩაბმული არიან განმანთავისუფლებელ ბრძოლის ფერხულში, იბრძვიან მოსკოვის უღლის თავიდან მოსაცილებლად და თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ოჯახის შესაქმნელად. ამ ერების გაერთიანება საგრძნობი ძალაა. ის, რაც ერთისთავის ძმიმე ამოცანაა, ყველასთვის ერთად შედარებით გაადვილებული საქმე იქნება. ეგ გარეგმოება ამ ერთი მიზნის მქონე ერებს უკარნახებს შეთანხმებულ მოქმედებას, მებრძოლ ძალებისა და ბრძოლის ღონისძიებათა კოორდინაციას. ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ადგილობრივად საბჭოთა კავშირის დღევანდელ პირობებში თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ყველა ამ ერებს ყავთ თავთავისი პოლიტიკური ემიგრაცია და იმდენად, რამდენადაც ამ ემიგრაციას კავშირი აქვს თავის ქვეყანასთან და მის განმანთავი სუფლებელ მოძრაობასთან, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მებრძოლ ერების დაახლოვებაში და ხელი შეუწყოს მათი მოქმედების შეთანხმებას. უკეთ რომ ვთქვათ, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის ერთი ამოცანათაგანია კავშირი გაადას სხვამებრძოლ ერების ემიგრაციებთან და მათთან შეთანხმებით ხელი შეუწყოს ყველა ერების განმანთავისუფლებელ მოძრაობის ერთ კალაპატში ჩაყენებას.

ჩვენის აზრით, როგორც ეს წინეთაც ვვითქვამს არა ერთხელ, საბჭოთა კავშირში გამომწყვდეულ დაჩაგრულ ერების განთავისუფლება იქნება შედეგი ან შინაგან წინააღმდეგობათა განვითარების ნიადაგზე წარმოშობილ მასიური მოძრაობის, ან საგარეო კონფლიკტის. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ითამაშებენ ადგილობრივი ძალები. მაგრამ არ კმარა, რომ ერმა, ისარგებლოს რა ხელსაყრელი პირობებით, გამოაცხადოს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობა; მთავარია ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ახლად აღდგენილ ქვეყნის მთავარი საზრუნავი იქნება სწრაფად დაამყაროს წესრიგი და შექმნას ერის ნდობით აღჭურვილი მაგარი ხელისუფლება, გაამაგოს საზღვრები და შეუდგეს თავის საგარეო მდგომარეობის განმტკიცებას. ამ ღონისძიებებიდან უნდა გამოვყოთ უკანასკნელი, ე. ი. საგარეო მდგომარეობის განმტკიცება. ემიგრაციას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს იმ პირობების მომზადებაში, ურომლისოდაც ახლად აღდგენილ ქვეყნის საგარეო მდგომარეობის განმტკიცება არ იქნება ადვილად და საჭირო სისწრაფით მოსაგვარებელი საქმე.

ჩვენ ვცხოვრობთ საერთაშორისო დიდ გართულებების ხანაში. არაგის შეუძლია ოწინასწარმეტყველოს თუ რა სიუჟარის ბოგვათმეფეს ხვალინდელი დღე; ჯერ-ჯერობით ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ნიშნებს საბჭოთა კავშირის იზოლიაციისა; ასეთ ტენდენციებს უდაოდ აქვს ადგილი და შესაძლებელია ხვალ ეს იზოლიაცია ფაქტად იქცეს. თუ ეს ასე მოხდა, ისიც შესაძლებელი იქნება, რომ ეგ იზოლიაცია გაბდეს წინამორბედი საბჭოთა კავშირის საზღვრებში დიდი ამბების დატრიალებისა. ამ ამბების მოლოდინში ემიგრაციას ჭირია ფხიზლობა და დიდი სამზადისის ჩატარება. მან უნდა დაარწმუნოს ევროპის პოლიტიკური და მმართველი წრეები, რომ მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზე ვერ დამკარდება წესრიგი და მშვიდობიანობა, ვიდრე იგი დარჩება დაჩაგრულ ერების ციხედ. საამისო მუშაობა აქნამდეც წარმოებდა, მაგრამ დღეიდან იგი უნდა აეწყოს გააქტიურების ძალებით, რომ გადამჭრელ მომენტისათვის საკმაოდ და სათანადოთ იქნეს მომზადებული და დამუშავებული დიდი სახელმწიფოების, როგორც საზოგადოებრივი აზრი, ისე პოლიტიკური წრეები. კერძოთ ქართული და კავკასიური ემიგრაციის გარდაუვალი მოვალეობაა გამონახოს პოლი-

ტიკური და მართველ წრეებთან მიმავალი გზები და საბუთებით და სათანადო ახსნა-განმარტებებით დაარწმუნოს ისენი, რომ, როგორც საქართველოს, ისე მთლიანად კავკასიას აქვს უფლება და საშველება იყვეს დამოუკიდებელი, თავისი თავის ბატონ-პატრონი და გახდეს სასარგებლო წევრი საერთაშორისო კულტურულ ოჯახისა. თუ ეს წინასწარი მუშაობა იქნება ჩატარებული წარმატებით, სათანადო ტაქტიკითა და უნარით, მაშინ ჩვენი ქვეყანა შესძლებს აღდგენისთანვე განამტკიცოს თავისი საგარეო მდგომარეობა და თავის დროზე მიიღოს, როგორც დიპლომატიური, ისე ფინანსიური დახმარება. რაც თავდები იქნება იმის, რომ იგი შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას, გამაგრდება და ჩამოყალიბდება ევროპიული ტიპის კულტურული სახელმწიფოდ.

ქართველ ემიგრაციას კეთილთა კიდეკე აქვს ერთი დიდი საზრუნავი. ნათქვამია ციხე შიგნიდან გატყდებავო. საქართველოს ციხის შიგ აღმორჩდენ საეკვო ღირსების «პატრიოტები», რომელნიც ლამობენ და გვარწმუნონ, რომ ბოლშევიკების ტყვეობიდან საქართველოს დახსნა შეიძლება საქართველოს ნაწილების ბანგუქებით თუ სასყიდლად გადებით. ამ «პატრიოტებს» ავიწყვდებათ,—ან განგებ ივიწყებენ.—რომ ჯანსაღი სული შეიძლება იყოს მხოლოდ ჯანსაღ სხეულში. თუ საქართველოს ტერიტორიალური სხეული დაგვირჩა დასახიჩრებული, სასიცოცხლო ძარღვებ გადაჭრილი, დაგლახდება და მოისპობა ის ძლიერი ქართული სული და უტეხი ნებისყოფა, ურომლისოდაც ჩვენი ერი ვერ იარსებს, არც თავისთვის ივარგებს და არც სხვისთვის იქნება გამოსადეგი. ამიტომაც ქართველი ემიგრაციის მოვალეობაა სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ჩვენი ქვეყნის ცოტა-პატრიოტების წინააღმდეგ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ემიგრაციის მთავარი ამოცანები, ის მოვალეობანი, რომელიც მას აწევს ქვეყნისა და ერის წინაშე. ეს გვესმის ჩვენ ემიგრაციის როლი იმ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც დღეს აწარმოებს ქართველი ერი.

ახლა დავუბრუნდეთ ემიგრაციის გაერთიანების საკითხს. როგორც წერილის დასაწყისში ვთქვეთ, ამ ჟამად ბევრი იწერება ამ გაერთიანების საპირველბაზე, მაგრამ გაერთიანების ზოგი მოციქულნი თავიანთ ნაწერსა და ნათქვამს აზავებენ ისეთი კომპლიმენტებით ქართული ემიგრაციის სოციალდემოკრატიული ნაწილის მისამართით, რომ ძალაუნებურად ეუბნი გვეპარება მათ გულწრფელობაში. მაგალითისათვის ავიღოთ «ახალი იერი»—ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობის ორგანონ. იგი თავის მოწინავეს ათავებს იმით, «რომ ქართველ ემიგრაციამ... უნდა შეიმეშაოს ერთი მთლიანი ეროვნული გეგმა და შექმნას ამ გეგმის აღმასრულებელი ერთი ეროვნული ცენტრი». ეს ნიშნავს ემიგრაციის მოწოდებას გაერთიანებისაკენ; მაგრამ «ახალი იერიის» იმავე ნომერში მოთავსებულია,—«ფრო მაგარი სიტყვა რომ არ ვიხმაროთ.—მეტად ურიგო არაკი, რომელშიაც სოციალდემოკრატები და მათი ბელადი მგლებად არიან მონათლული. ასეთი გამოს�sელა კი გაერთიანების უარყოფაა.

მეორე მაგალითს იძლევა ბ ნი ინასარი თავისი «მუშარადიო»-თ. იგი თითქოს ემიგრაციის გაერთიანებისთვის იბრძვის, ხოლო ქვევით უკანელაციოთ დასძენს: «მენშევიზმი რომ საქართველო დაფუძა, ამაში ქართველი ერს ორი ეზრი არა აქვს»... და სხ. კიდეე ცოტა ქვევით «ძველ გამაცლმლების» სახელით ნათლავს «მენშევიკებს». ბ-ნმა ინასარმა,—ემიგრაციის თითქო გაერთიანების მქადაგებელმა,—რომელიც დღემდე ვერავის შეერთებია ამ ემიგრაციაში და იაქესავით დგას თავისი «მუშარადათ» წოდებულ სიბრძნის ჯუჯუჭით, ნეტავი როდის ან სად მოახდინა ანკეტა იმის გამოსარკვევად თუ რაზეღინი ეზრი არსებობს ქართველ ხალხში «მენშევიზმზე»? ან რომელი სიბრძნის წიგნში წერია «ძველ გამაცლმლებთან» გაერთიანების საზრისისანობა?

ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკური მოპირდაპირეთა მტკიცებით ქართველ ემიგრაციის დაკსაქსულობა მისი სოციალდემოკრატიული ნაწილის ბრალია, სოციალისტური დოქტრინერობა და შეურიგებლობა უშლის ხელს ემიგრაციის გაერთიანებას. ეს მტკიცება რომ უაზრო და უსაფუძვლოა, ამის საბუთების საძებნად შორს არ დაგვჭირდება წასვლა. აქვე პარიზში ჩვენს გვერდით არიან სხვა ერების ემიგრაციებიც. რომელთაც «სოციალისტური დოქტრინიორები» ან სულ არ ყავთ, ან იმდენად უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენენ, რომ მათი ბალელანა ნულს უდრის. მიუხედავად ამისა ეს ემიგრაციები გაცილებით უფრო დაშლილი და დაკსაქსული არიან, ვინემ ქართული ემიგრაცია. კიდეე უფრო ახლო და შეურიგებელ ყველია ქართული მაგალითები. სამ ფრაქციათ არის გაყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული ემიგრაცია, სამ ნაწილად არის გაყოფილი აკ წარმოშობილი ფაშისტური ჯგუფი. ერთი იდეოლოგიის და შეხედულების ხალხნი ერთ მაგიდის ირგვლივ ვერ დამჯდარან. საერთო ენა ვერ გამოუნახავთ. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო შეკავშირებული ისევ სოც.-დემოკრატიული ემიგრაციაა. ეს მაგალითები შეურიგებელნენ, რომ სოც.-დემოკრატია და მისი «შეურიგებლობა» აკ არაფერ შუაშია. ემიგრაციის დაკსაქსულობისა და დაშლის მიზეზია სპეციფიური ემიგრანტული ავათმყოფობა, რომლის მთავარი მიკრობია (სხვა მიკრობთა შორის) პირადი ამბიციები.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენი ემიგრაციის ერთ საგრძნობ ნაწილში თითქმის ყოველ ხუთ ემიგრანტზე მოდის ერთი ლიდერი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს, რომ მხოლოდ მის ხელთ არის საქართველოს განთავისუფლების უებარი წამალი, მხოლოდ ის საქმე ვარგა, რომელსაც იგი მეთაურობს; გარეშე ამისა ყოველივე ეშმაკისგან არის და, როგორც ასეთი, მხოლოდ მაგნე და საზარალოა.

შეიძლება კი ასე დაავადებულ ემიგრაციის უკლებლივი გაერთიანება? დიდათ სასურველია მოხდეს ემიგრაციის ასეთი გაერთიანება, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე კი მწარე სინამდვილე; სამწუხაროთ ასეთ იდეალურ გაერთიანებას მრავალი ბარიერია ელობება წინ; მთელი ჩვენი ენერგია უნდა იქნეს მიმართული ამ დაბრკოლებათა დაძლევი საკენ. ყოველ შემთხვევაში შეიძლება გაერთიანდეს

ერთი სამოქმედო გეგმის ირგვლივ ემიგრაციის ის წრეები, რომელთაც დაახლოვებით მაინც ერთნაირად აქვთ წარმოდგენილი ემიგრაციის მოვალეობანი, ერთნაირად აფასებენ ემიგრაციის როლს და მნიშვნელობას განმათავისუფლელი ბრძოლის საქმეში.

უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველ სოც. დემოკრატთა ჯგუფს ერთად ერთი მიზანი აქვს: იმუშაოს საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებისათვის, მთელი თავისი ძალებით ხელი შეუწყოს საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენ ჩვეხს იდეოლოგიას არავის არ ვახვევთ, ჩვენ აქ არ ვაყენებთ იდეოლოგიისა და რეჟიმის საკითხს. ჯერ და უწინარეს ყოვლისა საქართველოს განთავისუფლება მოსკოვის უღლიდან. მაშინ ყველა იდეოლოგიისა და მიმართულების ეროვნულ პარტიებს და დაჯგუფებებს მიეცემა საშვალება წარსდგენ ქართველი ერის წინაშე. მხოლოდ და მხოლოდ ეს უკანასკნელი იქნება მსაჯული და ამრჩევი იმ იდეოლოგიისა და რეჟიმის, რომელსაც ის იცნობს თავისთვის მისაღებათ და გამოსადეკათ.

ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა იმ წრეებთან, რომელნიც ამ შეხედულებას იზიარებენ. ეს არ იქნება ემიგრაციის სრული გაერთიანება, მაგრამ ეგ იქნება გაერთიანება ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის საღად მოაზროვნე ნაწილის.

ბ. არიჟ.

რადიკალ-სოციალისტების კონგრესის გამო.

საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტთა პარტიის წლიერ ყრილობას შეტად რთულ პირობებში მოუხდა მუშაობის ჩატარება. ერთი მხრით მიუხედნის ოთხთა შეთანხმებით შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და მისი გავლენა საფრანგეთის ცხოვრებაზე. მეორე მხრით—შინაურ ძალთა განწყობილება და სახალხო ფრონტის პრობლემა—აი მთავარი საკითხები, რომლებზედაც გარკვეული პასუხი უნდა გაეცა მმართველ პარტიის უზენაეს ორგანოს. სექტემბრის ბოლო რიცხვებში ევროპა ომის დადგმართზე თავბრუ დამხვევი სისწრაფით დაეკანა. ვერსალის ზავით ნაანდოძევი სტატუს-ქვო საფუძველანად შეირყა და საუკუნეებით დაგრძელი ცივილიზაციის საუნჯენი თითქოს დუღილის პროცესში მყოფ ვულკანზე დაშენებული აღმოჩნდენ. საკმაო იყო ერთი გაუფრთხილებელი ან აჩქარებული ნაბიჯი, პანიკით გამოწვეული დარეტიანება, რომ ბრმა სტიქიას აღმოეხეთქა და კაცობრიობა უფსკრულში თან ჩაეტანა. მდგომარეობის გასაღები საფრანგეთის რადიკალურ მთავრობის ხელთ იყო და მანაც მთელი თავისი ქვეყნის მორალურ-პოლიტიკური წონა საერთაშორისო სასწორზე დასდო და მიუხედნის კონფერენციის მშვიდობიანი დაბოლოება შესაძლებელი გახადა. მიუხედნში გაღებულმა მსხვერპლმა დაამარცხა ომის მოხეტიალე ბოროტი სული, მაგრამ ამ უკანასკნელს ფარხმალი არ დაუყრია. მიუხედნის ამბების შემდეგ ისევ თავი იჩინა და აშენებულის დასანგრევად თავისი ფარხმალი მოიმარჯვა. დაღადიეს მთავრობას შინაური თუ გარეშე მოკავშირეების თანაგრძნობა და დახმარება სწორედ ამ მომენტში ესაჭიროებოდა. მართალია რუსეთის დიდი იმედით საფრანგეთს თავი არასადროს შეუქცევია, მაგრამ ყველევანი ბონნე-ლიტვინოვის შეხვედრამ მკიცოდენი დახმარების იმედიც გააკრო. გამოირკვა, რომ რუსეთი ყველაფერს შერეზოდა იმისათვის, რომ საფრანგეთი და ინგლისი ვერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია, ხოლო თვითონ ბანზე გადგომით ხელი მოეთბო და საერთაშორისო აღრევის პირობებში საკუთარი კაპიტალის გაძლიერებაზე ეზრუნა. ამ გარემოებამ გადაასწყვიტა რუსეთის, როგორც საერთაშორისო ფაქტორის ბედი. მიუხედნის აქტზე ხელის მოწერით დალადიემ დაადასტურა მისი სრული ინოლიაციია ევროპის საქმეებიდან, მაგრამ საქმე ამით როდი გათავდა. მოსკოვმა იგრძნო განმარტოების საშიშროება და თავისი ფრანგული ფილიალი აამეშავა. კომუნისტებმის ლანძღვა-გინების ლექსიკონში არ მოიძებნება არც ერთი უწმაწური ეპიტეტი, რომელიც მათ დალადიეს შუბლზე არ მიეკრათ, როგორც ზეპირი ისე ბეჭდვითი საშუალებით. რადიკალები მოეკეცენ მეტად რთული დილემის წინაშე: კომუნისტებთან ერთად მათ ან უნდა დაეგბოთ მათ მიერ მთავრობაში წარგზავნილი პარტიის ხელმძღვანელები ზავის შენარჩუნებისათვის, ან ყური უნდა ავწიათ სახალხო ფრონტში მათი მოკავშირე კომუნისტებისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო მათ მეორე გზა აირჩიეს, მაგრამ ეს მათთვის არც ისე ადვილი იყო.

სახალხო ფრონტის სახით ბოლშევიკების მიერ წამოსსროლილ ანკესზე პირველად სწორედ რადიკალები წამოეგენ. სწორედ ამ პარტიის წარმომადგენლები იყვნენ რომ პირველად შეუდგენ კომუნისტური რუსეთის პოპულიარიზაციას და საფუძველიც დაუდვეს სახალხო ფრონტის შენობას საფრანგეთში. ამ გარემოებამ სოციალისტებიც ჩაითრია და ყველა ერთად თითქოს შეუდგნენ დემოკრატიის დაცვას 1934 წლის თებერვალში მოწოლილ მემარჯვენე ტალღებისაგან. მაგრამ ყალბ საფუძველზე ყალბი შენობა გამოიკვნა. მართალია, რუსეთის ბოლშევიკური სინამდვილე დღევანდლამდე საშუალო უცხოელ მოკალაქისათვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო, მაგრამ ჭეშმარიტების მიფუჩეჩვნება დაუსრულებლად არ ხდება, და დღეს ის მზის სინათლეზე ჩნდება. აბა, ვის უნდა დაეჯერებინა ადამიანის და მოკალაქის უფლებათა ქვეყანაში, რომ ხალხი, რომელმაც ვეებერთელა რუსეთი მკვლელობის და ამორალობის ასპარეზად, შრომა კატორღად და ადამიანი არარაობად აქცია, რომელმაც რეაქციონური ბიუროკრატია განუსაზღვრელი უფლებით შემოსა, ყველა ჯურის კულტურული ღირებულებანი, პიროვნებას და საზოგადოებას რომ ფასს სდებენ ფეხქვეშ გაიგდო და ბურჟუაზიის გამათხსირებელ ატრიბუტებად გამოაცხადა, დემოკრატიულ თავისუფლებებს და პიროვნების გარდაუვალ პროგოკატივებს ტრის იერშებისაგან ნამდვილად დაიკავდა?!

Digitized by Georgian National Corporation

სახალხო ფრონტის პლათფორმის მტერი თვით მის წიაღში იმალებოდა, ხოლო მოვლენათა განვითარებამ იგი საჯაჭაოზზე გამოიყვანა. ორში ერთი: ან მიუნხენში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ფრონტში შემავალ პარტიათა თანხმობა დაერღვია და მაშინ რით უნდა გამართლებულიყო კომუნისტების უდიერი თავდასმა დალადიეს მთავრობაზე? ან მოხდა ღიდი ამბავი, რამაც პარტიათა შეურიგებელი წინააღმდეგობა ნათელი გახადა და სათანადო დასკვნაც უნდა გამოსახულიყო. ამ დასკვნას კონგრესამდი მიგზნო პარტიამ და სახალხო ფრონტი დაშლილად გამოაცხადა. მათი მოკავშირის გაგდებას რადიკალები ეხლა თვითონ კისრულობდნენ. ასეთი იყო ამ პარტიის მოვალეობა ქვეყნის წინაშე და მისმა ლიდერმაც კონგრესს საკითხი სწორედ ამ სიბრტყეზე დაუყენა.

ჩემი ბრალი არაა—ამბობდა იგი—თუ კომუნისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და სახალხო ფრონტი ფაქტიურად დაშალეს. ბრძოლის ინიციატივა აიღეს მათ, როგორც მიგზნი ისე გარეთ, ამიტომ ყოილობა მოვალეა აიღოს ამ ანტიხალხური და ანტიეროვნული მიმდინარეობის მიმართ გარკვეული ბრძოლის ხაში. მთავრობისა და პარტიის თავმჯდომარის ამ ენერგიულმა განცხადებამ შეარყია რადიკალ-ბოლშევიზანთა რიგები, რომელთაც საარჩევნო ინტერესები ამოძრავებდათ. ეროვნული ინტერესების საარ ჩენო მოსაზრებებით დაწერილმანება სრულიად არ შედიოდა დალადიეს განხრახვაში და მანც საარჩევნო რეფორმის დაპირებით პარტიის ბოლშევიზანებს ყოველგვარი მანიოვრის საშუალება მოუკვეთა. ყოილობამ ერთხმად დაადასტურა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, გამოუცხადა სრული ნდობა და მინიმუმ სრული თავისუფლება ქვეყნის შინა მდგომარეობის სრული რეორგანიზაციის საქმეში. ამრიგად, როგორც საგარეო ისე საშინაო და ეკონომიური პოლიტიკის სფეროებში დალადიეს მიიღო პარტიის უმაღლესი ინსტანციის ერთსულოვანი დასტური ანტიკომუნისტური ბრძოლის საწარმოე ბლად.

სახალხო ფრონტი, რა სახითაც ის საფრანგეთში განხორციელდა, მიუახლოვდა თავის აღსასრულს. რადიკალების მე 35 წლიერმა კონგრესმა მარსელში ამ ფაქტის კონსტატაცია მოახდინა. კომუნისტების სახელმწიფო პოლიტიკის ორბიტში მოქცევით ფრონტმა ისსეკვრალა მისივე წიაღიდან გამოსული მთავრობები, გაამეფა დემაგოგია და სამოტაჟი, მოშალა ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება და საფრთხეში ჩააგდო ახლახან შემოღებული სოციალური რეფორმები. ამდენად, მარსელის კონგრესმა ანტიკომუნისტური ხაზის აღებით ღიდი სამსახური გაუწია ერს, სახელმწიფოს და დემოკრატიას.

ვალ.

არტაანის აღების შესახებ

ამ ბოლო დროს ბ-ნი გ. კვინიტაძე მოგვეკლინა ისტორიკოსის როლში. თავის უკანასკნელ გამოსვლაში იგი მოგვითხრობს თუ როგორ მოხდა 1919 წ. არტაანის საკართველოზე შემოერთება. მთელ ამ აღწერაში ყურადღებას იქცევს ერთი რამ: ბ-ნი კვინიტაძე ცდილობს გუშინდელი ამბები და ისტორიული ფაქტები ისე მოგვიყვეს, როგორც ეს იამება მის დღევანდელ ბელადსა და პატრონს. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი განხრახვით აღწერილი ისტორია ვერ იქნება მართალი და მიუდგომელი. მომხდარ ამბების,მიუდგომლად აღწერა არც უნდა შედიოდეს ბ. კვინიტაძის განხრახვაში; მისი მთავარი მიზანია შეთხუზული ამბებით ცილი დასწამოს საკართველოს ყოფილ მთავრობას და მას სახელი გაუტეხოს რუსული «კავკაზნი»-ს არა ქართველ მკითხველების თვალში.

თავის უკანასკნელ წერილში («კავკაზი» № 8-9) ბ. კვინიტაძე გულდაწყვეტილი იუწყება, რომ ბ. ნ. ყორდანიამ მთავრობა უმისოთ შეიდგინა, ე. ი. მას არ უბოძა მინისტრის პორტფელი. ცხადია, რომ ბ-ნი ყორდანია და მისი მთავრობა იმ დროს მისაღები ყოფილა ბ. კვინიტაძესთვის. ახლა კი დრონი იცვალნენ და ბ. კვინიტაძემაც იცვალა ფერი და ბუნება. ახლანდელი მისი ბელადი უცხოელი ბამატია და ქართველ ეროვნულ საქმის მეთაურად მას ცნობს ყოფილი მთავარსარდალი.

თავისი ახალი მდგომარეობის გასამართლებლად ბ-ნი კვინიტაძე მიმართავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტების გადმახირეებს, რაც მე წინა წერილებშიაც ავღნიშნე. მაგრამ ამ მხრივ ბ. კვინიტაძის უკანასკნელმა წერილმა—«არტაანის ალება»—ყოველივე მოლოდინს გადაუჭარბა. ამ წერილში ბ. კვინიტაძე გვიამბობს, რომ მან მთავრობიდან მიიღო კატეგორიული ბრძანება არ წასულიყო არტაანზე. მიუხედავად ამ ბრძანებისა მას მაინც გადაუწყვეტია შეტევა. გამოდის, მთავრობის კატეგორიულ ბრძანებას არ დამორჩილებია და თავის ინიციატივით აუღია არტაანი.

არ შეიძლება რომ ამ განცხადებას ეჭვის თვალით არ შევხედოთ. იმ დროს არტაანის ოლქში თარეშობდენ სერგეი ბეგის ბანდები,—რომელნიც თავის თავს თვლიდენ საქართველოს მტრების მიერ სახელადაყოლილ გამოგზნილ «სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის» სახელმწიფოს ძალებად. სამწუხაროთ ამ ბანდებს აკეზებდა და ფარველობდა ბათუმში მდგომი ინგლისის საოკუპაციო ჯარების უფროსი გენ. კუკ-ჯოლისი. ინგლისელები კავკასიაში შემოსულის პირველ ღღიდანვე მტრულად იყვნენ განწყობილნი საქართველოსადმი. სამაგიეროთ დიდ მხრუნველობას და მფარველობას უწევდენ სომხეთს; მიზნით ჭკნადად შეექმნათ დიდი სომხეთი და მის ფარგლებში მოექციათ საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილებიც. «სამხრეთ-დასავლეთის მთავრობა» დროებითი იარაღი იყო ინგლისელ სარდლობის ხელში: ამ გზით ის ფიქრობდა ხელი შეეშალა საქართველოსათვის შემოერთებია არტაანის ოლქი, ხო-

ლო როცა შესაფერი დრო დადგებოდა, იგი თვითონ მოუხდებდა ლიკვიდაციას ამ მთავრობას და არტანის ოლქს გადაცემდა სომხეთს. იგივე სარდლობა ყოველივე საშვალებით ძალას ატანდა საქართველოს მთავრობას არტანის ოლქში არ შეეყვანა თავის ჯარები. (ხანაი რომ მაშინდელ გართულებულ პირობებში ჩვენ მთავრობას არ შეეძლო აშკარა კონფლიქტში შესულიყო ინგლისელების ჯარების სარდლობასთან. მაგრამ რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა არ ცდილობდა სხვა საშვალებები მოენახა ოლქის დასაფლებლად. ადვილი გასაგებია, რომ დაუფლება უნდა მომხდარიყო არა მთავრობის აშკარა ბრძანებით, არამედ თანახმაო ამ საიდუმლო ინსტრუქციებისა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მიმართავენ ხელისუფალნი. რომ ეს ასე არ ყოფილიყო ბ-ნი კვინტაძე, როგორც მთავრობის კატეგორიული ბრძანების დამრღვევი, პასუხისგებაში იქნებოდა მიცემული. ბ-ნი კვინტაძე კი მოურიდებლად სარეგლობს იმ მდგომარეობით, რომელიც მას ერთ დროს კონდა და თავისებურად აშუქებს მომხთარ ამბებს, რათა გაამართლოს თავისი უკანა ზრახვები.

ზემო თქმულს სავსებით ადასტურებს ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებული იყო, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ არტაანსა და მის ოლქში ფეხის მოსაკიდებლად.

არტანი ჩვენმა ჯარებმა აიღეს 20 აპრილს 1919 წ. ამის შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, რომ ჩვენი ჯარები იძულებული გახდეს იგი დაეტოვებინათ ინგლისელების ძალდატანებით. მიუხედავად ამისა ჩვენმა მთავრობამ მტკიცეთ გადაწყვეტა ერთი ფეხი მაინც კონდოდა მოკიდებული არტაანში. მან საამისო შესაფერი ზომები მიიღო და აიძულა ინგლისელების ჯარების სარდლობა დათანხმებულიყო ქ. არტაანში ჩვენი სამხედრო წარმომადგენლისა და პატარა რაზმის დარჩენაზე.

ბედმა მარგუნა რომ ეს წარმომადგენელი ვყოფილიყავი მე. ჩვენი ჯარების უკანასკნელი პოლკის (მე-4 ქვ.) მიერ არტაანის დატოვების წინ მე დამიბარა პოლკის დრ. უფროსმა პოლკ. ჯაფარიძემ და გამომიცხადა რომ ერთი პატარა რაზმით უნდა დარჩენილიყავი ქ. არტაანში, როგორც საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი. ამასთანავე გადმომცა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და სიტყვიერად განმიცხადა შემდეგი: «ჩვენ ტტოვებთ არტაანის ოლქს. ღღეს აქედან მიდის ჩვენი ჯარების უკანასკნელი პოლკი; ყველიფე ეს ხდება ინგლისელების დაჟინებითი მოთხოვნით და ზეგადენით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ საქართველო და მისი მთავრობა სამუდამით იღებენ ხელს ამ ოლქიდან. თანახმად ინსტრუქციებისა, რომელიც მიიღო ჩვენი ჯარების სარდლობამ, მე ტტოვებ თქვენ აქ, რაც იმას ნიშნავს რომ ჩვენ ერთი ფეხი მაინც გვრჩენია აქ მოკიდებული. რთული და დიდათ პასუხისაგებია ის მისია, რომელიც თქვენ გევალება. ჩვენი ქვეყნის მტერთ არ ძინავთ. ჩვენი სამხედრო წარმომადგენელისა და პატარა რაზმისა აქ დარჩენა მათთვის იქნება თვალში სვეტი. უთუოთ ბევრი დაბრკოლებები შეეხვდებათ, ეცდებიან ხელი შეგიშალონ ყველა საშვალებებით და შეგიქმნან ძმიმე პირობები, ისიც კია შესაძლებელი, რომ მოულოდნელად თავს დაგე სხან. უპასუხისმგებლო ბანდები მოგიისოონ. მაგრამ უნდა იცოდე, რომ შენ აქედან ფეხს ვერ მოიცვლი სანამ პირში სული გედგომება»... ამ ამბავსა დაესწარო ოფიც. დ. ვარნაძე (ამ ქამად პოლოონეთის ჯარში მსახურობს).

ჩვენი ჯარის დატოვების შემდეგ მე შეუდეკი ჩემი მოვალეობის შესრულებას. დაუფარნელივე გავაბი კავშირი ადგილობრივ ქართველ მუსულმანებთან, დავიახლოვე მათი გვალენიანი პირები და გავაკანონ მათ ინგლისელ სარდლობის საქართველოსადმი მტრული განწრახვები: მე მათ აუხსენი, რომ ინგლისელური ჯარის სარდლობა აზმადიდა არტაანის გადაცემას სომხეთზე. «თქვენ სარწმუნოებით მუსულმანები ხართ, ხოლო სისხლით და ზორკეთ კი ქართველები», განუმარტე მე მათ: «—არტაანი საქართველოს უდაო მიწა-წყალია, იგი მორწყულია ქართული სისხლით, ე. ი. თქვენი სისხლით. ჩვენი ვალია იგი შევარჩინოთ ჩვენ დედა-საშობლოს». ამ ჩემმა მიმართვამ ათანაადო ნაყოფი გამოიღო და არტაანის მუსულმანობამ აღმოიქვა ყოველგვარი დახმარება. მუშაობა გაგწია აგრეთვე ბერძნულ მოსახლეობაში და მათგანაც დახმარების აღთქმა მივიღე.

ამავე დროს ქალაქში შემოვიდენ ინგლისისა და საქართველოს ჯარის ნაწილები. მაისის პირველ რიცხვებში 1919 წ. არტაანში ჩამოვიდა გენერალი კუკკოლისი. იგი პირველ რიგში მე მომვარდა და გადაჭრით მოითხოვა დაუფარნელივე დამტოვებია ჩემი რაზმით არტაანი, რაზეადაც მე ვუპასუხე: «ბ-ნო გენერალო, მე ვარ ჩემი ქვეყნის ჯარისკაცი და ვდგავარ მის საგუშაგოზე. მე ვემორჩილები მხოლოდ ჩემი მთავრობის ბრძანებას. რაც შეეხება თქვენ ბრძანებას, მე ბოდიშს ვიხდი დიდი ბრიტანეთის გენერლის წინაშე, მაგრამ ამას ვერ დავემორჩილები». თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ ზორის ლაპარაკი იყო თარჯიმანის საშვალებით. ჩემი ასეთი გადაჭერილი პასუხის შემდეგ გენ. კუკ-კოლინი ცოტა მოლმა და დამიწყო საქმითნი ლაპარაკი. ამ ლაპარაკიდან გამოირკვა რომ ინგლისის ჯარები დაიკავებდენ მთლიანათ არტაანის ოლქის ჩრდილო ნაწილს, ხოლო სამხრეთის ნაწილს უთმობდენ სომხებს. ამასთანავე გენ. კუკ-კოლისი დათანხმდა, რომ მე და ჩემი რაზმი დავრჩენილიყავიო ქ. არტაანში, იქვე სადაც ვიყავით; ეს ადგილი შედიოდა სომხეთის დაკავებულ ზონაში.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ გვაიძულეს არტაანის დატოვება მთლიანათ, რაც სავსებით ეწინააღმდეგება ბ. კვინტაძის მტკიცებას, რომ თითქოს ჩვენ «მივიღეთ მარტო ყაზარმები მტკვრის მარცხენაპირზედ». ერთი რომ მტკვრის მარცხენა ნაპირი შედიოდა ინგლისელების ზონაში და იქეთ ფეხის გადადგმაც ეკრძალებოდა ჩემი რაზმის ჯარისკაცებს; მეორე—მტკვრის მარცხენა ნაპირზე არაგითარი კაზარმები არ ყოფილა, იქ იყო მხოლოდ ძველი ციხის ნანგრევები და რამოდენიმე მინგრეული კოხი.

მე დავრჩი არტაანში 7 თვე და ვმუშაობდი—რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Digitized by Google

თქმა უნდა—მთავრობის ინსტრუქციების თანახმად. მართლაც, როგორც ეს მიწინასწარმეტყველა პოლკ. ჯაფარიძემ, მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ ჩემს მუშაობას. გაიმართა ფარული ბრძოლა. სომხები და ინგლისელები შეთანხმებულად აწარმოებდენ ინტრიგებსა და პროფოკაციებს, რათა ვეიძოლებიე დამეტოვებინა ჩვენი რაზმი არტაანი. მეკირიკით ვცდილობდი ადგილობრივი ქართველ მუსულმანების და ბერძნების დახმარებით გავმაგრებულიყავი და განმემტკიცებინა საქართველოს გავლენა.

აგვისტოს დამლევს (1919 წ.) ინგლისელებმა დასტოვეს მათ მიერ დაკავებული ზონა. მე წინასწარ შევიტყეე ინგლისელების განხრახვა, რომ მათ მიერ დატოვებული ადგილები უნდა გადაეცათ სომხებისათვის.

თანახმათ იმ ინსტრუქციისა, რომელიც ასეთ შემთხვევისათვის მქონდა მოცემული ჩვენ მთავრობის მიერ, მე მივიღე ზომები, რომ დატოვებულ ადგილებში ჩვენ გავმაგრებულიყავით და არ შემოგვეშვა იქ სომხები. ამ მიზნით შეუმჩნეველად მე გადვისროლე 50 ჯარისკაცი ლეიტ. ს. ჭყონიას მეთაურობით ინგლისელების ზონაში. ამ ზონაში ჯერ კიდევ ინგლისელების ადმინისტრაცია იყო, რომელსაც მეორე დილას უნდა დაეტოვებინა არტაანი. ლეიტ. ჭყონიას კი ვუბრძანე, რომ ინგლისელების წასვლის თანავე ფორტებში წინასწარ ჩამალული თავისი რაზმი გამოეყვანა და დაეკავებინა მტკვარის მარცხენა ნაპირი. ლეიტ. ჭყონიამ დავალება პირნათლად შეასრულა, მან არ გადმოუშვა მის მიერ დაკავებულ მხარეში არც ერთი სომხის ჯარისკაცი იმავე დამეს სასწრაფოთ დავაბეჭდიე და გავაკარი განცხადებები, რომლითაც ვამცნე არტაანის მოსახლეობას, რომ ახალციხის ფორტის უფროსის გენ. ტ. ვაშაკიძის ბრძანებით არტაანის ჩრდილო ნაწილი (ეს ნაწილი აქნამდე ინგლისელებს ეკავა) უკრთდება საქართველოს. ამ გარემოებამ სომხები ძალიან აღელვა. მაგრამ ვერ გაბედეს ძალა ეხმართან ჩვენ წინააღმდეგ; არჩიენ ისევ მოლაპარაკება გაემართათ ჩემთან და შევთანხმდით, რომ შექმნილი სტატუსქვო დაგვეცო და მოგვეცადა ჩვენ ჩვენი მთავრობის ინსტრუქციებისათვის. ამავე დროს მოვაწყვე საჭიროთ ჩვენი ადმინისტრაცია (დროებითი, რასაკვირველია) და საბოლოოთ გავმაგრდი.

რომ ამ რაიონს ჩვენი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან იქ სამუშაოთ ჯაბაგზავნა სპეციალური წარმომადგენელი დამფ. კოტბის წევრი ლ. რუხაძე. მის ამოცანას შეადგენდა მოემზადებინა პირობები მთელი არტაანის ოლქის საქართველოსთან შესაერთებლად. ნოემბრის დამლევს 1919 წ. შევასრულეთ თუ არა ჩემი მისია, დაუბრუნდი ჩემ ბინაზე.

1920 წ. ნოემბ. სომხეთს შემოუტია ოსმალეთის ჯარებმა, დაიკავა ყარსი და გზა გადაუჭრა არტაანის სამხრეთ ნაწილში მდგომ სომხის ჯარის ნაწილებს. რადგან სომხის ამ ნაწილებს ძალა არ შეწევდათ წინააღმდეგობა გაეწიათ ოსმალეთისათვის, იმათმა დასცალეს მათ მიერ დაკავებული ნაწილი არტაანისა და თავი შემოაფარეს ჩვენ ზონას. ჩვენ კი დავიკავეთ სომხეთის მიერ დატოვებული ადგილები, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოაცხადა საქართველოსთან შემოერთებულად.

ზემო ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს თუ რა მდენი ვი ვაგლახი გადაუტანია საქართველ ოს ხელისუფლებას არტაანის ოლქის შემოსაერთებლად. შეუძლებელია დაუშვათ რომ ყველაფერი ეს არ იცოდეს საქართველოს ჯარების ყოფილ მა მთავარსარდალმა; იგი შეგნებულად მალავს სიმარცოლეს და აუკუღმართებს ისტორიას, რომ გაღმა გადაეგებით გამოოზმა შეირჩინოს. იგი დღეს მთავრობას ედავება და ფიქრობს, ოომ ამით თავიდან აიცდენს პასუხის გებას ის «სახელოვან» მთავარსარდლობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი ქვეყნის საბედისწერო მომენტში. შემცდარი იმედია.

აკ. კვიტაიშელი.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ. ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ

18 და 19 გასულ ოქტომბერს ბრიუსელში ადგილი ქქონდა ინტერნაციონალის ეგზეკუტივის სხდომებს მის დღის წესრიგში იდგა მეტად რთული და სერიოზული საკითხი—საერთაშორისო მდგომარეობა მიუნხენის კონფერენციის შემდეგ და სოციალისტური პარტიების მოვალეობა.

ყველა სექციების და პარტიების წარმომადგენლებმა სრული ინფორმაცია და შესაფერისი მოსაზრებანი წარუდგინეს ინტერნაციონალს უკანასკნელი დიდი ამბების შესახებ, რომელმაც მოგვცა მიუხნენის შეთანხმებება და ჩვენსოოვაკია ცხოვრების ახალ პირობებში ჩააყენა.

ეგზეკუტივი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მიუნხენში გადაწყდა ჩეხოსლოვაკიის ბედი და მას ხელი მოაწერინეს ისეთ პირობებზე, რომლის განხილვაში მას არ მიუღია არავითარი მონაწილეობა; ყველაფერი გაკეთდა და მოგვარდა მისი ხურგის უკან; ანგარიში არ გაეწია თავისუფალი ერის აზრს და მით ჩადენილ იქნა დიდი უსამართლობა. ეგზეკუტივის აზრით მიუხნენის კონფერენციამ უთუოდ გაზარდა პრესტიჟი და ძალა დიქტატორულ ქვეყნებისა და დაასუსტა მილიტარულად, ეკონომიურად და მორალურად ევროპის დემოკრატიები. ყველაფერ ამის გამო მიუხნენის კონფერენციის შემდეგ, თუმცა დროებით ზავი ჩამოვარდნილია მოწინააღმდეგეთა შორის, საერთაშორისო მდგომარეობის წონასწორობა კი უფრო შერყეულია და ურთიერთშორის კონფლიქტის გაჩაღების რისკი ამიერიდან კიდევ მეტია, ვიდრე ეს წინეთ იყო. და რადგანაც შექმნილ მდგომარეობის მთავარი მიზეზი დემოკრატიული ძალების სისუსტე და უილაჯობაა, ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მის სექციებს მთელი მათი ძალებიდან გასაჯრთიანებენდან და მეჯიდრად შესაკავშირებლად, რათა ამით ისინი მზად დახდენ ყოველგვარ საშინაო თუ საგარეო მოსალოდნელ რთულ მოვლენებს და ამბებს.

ევროპის დემოკრატიის გასამგრებლად და მათი თავდაცვის უზრუნველსაყოფად ბოლშევიზნების—ზიირომსკი და დანი მიზანშეწონილად სთვლიდენ საბჭოთა რუსეთთან მეჯიდრო დაახლოვებას და მას-

თან სამხედრო კავშირის განმტკიცება აუცილებელ საჭიროებათ მიიჩნდათ. ამავე შეხედულებას იცავდენ კრებებზე ლატიშევის წარმომადგენელი—ცილენსი და რუსი სოციალისტ-რევოლიუციონერები. თან ეკუნეკუტიკის სხდომების გახსნის წინ ღღეებში რუს მენშევიკებმა ინტერნაციონალთ გადასცენ მემორანდუმი, სადაც ლაპარაკია მოსალოდნელ საომარ კონფლიქტებზე და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ამა თუ იმ ტოტალიტალურ სახელმწიფოს გალაშქრებაზე შესაძლებლობაზე. მემორანდუმი მოითხოვს ინტერნაციონალისგან შემავალ სექციებისაგან და საბჭოთა რუსეთში მომუშავე ყველა სოციალისტური პარტიებიდან, რომ მათ, მიუხედავად რუსეთში სტალინის რეჟიმის მძვინვარებისა. საბჭოთა კავშირი ენერგიულად დაიცვან ყოველივე აგრესორისაგან.

სპეშ. სოც. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი—ამხ. ჯ. გვარჯალაძე დღის წესრიგში დასმულ საკითხის გამო შემდეგს ამბობდა:

უდავოა, რომ დღეს საერთაშორისო მდგომარეობა გაციცებით უფრო მძიმე და რთული. ვიდრე ეს მიუხედავ კონფეერენციის წინ იყო.

ყველასათვის ცხადია, რომ გერმანია ბატონობს ეხლა ცენტრალურ ევროპაში. ჩეხოსლოვაკია იძულებულია გერმანიის ორბიტაში შეეიდეს და თავისი მოკმედება გერმანელების მოკმედებას შეუფარდოს. უნგრეთი, იუგოსლავია, რუმინია და ბალკანეთის სხვა ქვეყნებიც დიდ ანგარიშს უწევენ უკვე ეხლა გერმანიას და მის ეკონომიურ პოლიტიკას. გერმანიამ დაიწყო ამ ხანებში შუშაობა ოსმალეთში, იქ ამაგრებს თავის ეკონომიურ პოზიციებს და ამ მხრივ იწყება დიდი მეტოქეობა მის და ინგლისს შორის.

დაშინდა აგრეთვე ბალტიის ქვეყნები, ესტონიაში და ლიტვაში უკვე გაისმის ხმები, რომ მათ არ ძალუძს ძლიერ გერმანიას გაუმკლავდენ და ეძებენ გზებს მასთან შესათანხმებლად. გერმანია ეხლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მიუხხენში დროებითი დაზავება მოხდებოდა.

მართალია გერმანიამ განაცხადა, რომ მას ჩეხოსლოვაკიის საკითხის მოგვარების შემდეგ სადაო დასავლეთ ევროპასთან არაფერი აქვს, მაგრამ ცხადია. რომ სადაო საკითხები მათ შორის მომავალში უთუოდ წამოიჭრება.

მაგრამ გერმანიას სხვა მიზნებიც აქვს. ის უთუოდ რუსეთისაკენ იცქირება. ეს არა ერთხელ განუცხადებიათ გერმანიის პასუხისმგებელ პირებს და ამას გაჩეკვეთილ ხაზს უსვამს ჰიტლერი თავის წიგნში «Mein Kampf». ძნელია იმის თქმა აქედანვე, თუ რომელ ფრონტზე მოხდება კონფლიქტი პირველად, აღმოსავლეთით, თუ დასავლეთით. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სომარ კონფლიქტს ადგილი ექნება ახლო მომავალში აღმოსავლეთით. ვისთან, როგორ რუსეთთან ექნება საქმე გერმანიას?

აქ ბევრს ლაპარაკობდენ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებაზე, მასთან კავშირის საჭიროებაზე და მისი ყველა ჩვენ მიერ დაცვის აუცილებლობაზე. ჩვენ გვინდა, განსაკუთრებით, ამ საკითხებს მივაქცინთ ყურადღება.

რა მდგომარეობაა დღეს საბჭოთა რუსეთში?

1. ცნობილი გენერლების და ოფიცრების დახოცვით წითელი ჯარი თვალსაჩინოთ დასუსტებულია და იქ სრული დემორალიზაციაა გამეფებული.

2. გლეხობის და მუშების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა აუტანელია და იქ საყოველთაო უკმაყოფილება არსებობს.

3. კომენისტების მოზრდილი ნაწილი განადგურებული და დახოცილია, ან პარტიიდან გაძეკვებული არიან. მათ შორის მტრობა და შური გაბატონებული.

4. საბჭოთა კავშირში არარუსი ერები დაჩაგრულია არა მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიურად. არამედ ეროვნულადაც. ნემ ქვეყანას—საქართველოს წარსული უნახავს სპარსელ, თუ ოსმალურ ურდოების შემოსევა, მაგრამ ბოლშევიკების მოკმედებამ ჩვენში ყველა მათ გადააჭარბა.

5. არავითარი თავისუფლება ცხოვრების არც ერთ სფეროში იქ არ არსებობს. არის მხოლოდ პირადი დიქტატურა სტალინისა. საბჭოთა კავშირში თავისუფლად სულის ამოთქმაც კი შეუძლებელია; არ იციან, რა ქნან, ხან სასოწარკვეთილებასაც ეძლევიან. ამ საშინელ ცხოვრებიდან თავის გასთავისუფლებას გარეთან მოელიან.

თუ რამე კი იყო მართალი ინ ბრალდებებში, რომეოიც წაყენებულ იქნა ბრალდებულთა წინააღმდეგ მოსკოვის, თუ სხვა პროცესების დროს, ეს არის ის, რომ არა თუ ბრალდებულები, არამედ საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა დიდი ნაწილი რუსეთის დამარცხების მომხრენი არიან და დეფეტიზმის სულისკვეთებინი არიან გაყდენილნი.

ცხადია, ასეთ პირობებში საბჭოთა რუსეთის თავდაცვითი ძლიერება მეტად პრობლემატიურია და მასზე დაყრდნობა და მისი იმედით კვება არავისათვის არ უნდა იყოს სანატრელი.

სექტემბრის ამბების დროს ზოგი მართლა ფიქრობდა, რომ რუსეთი იქნებოდა დემოკრატიული ქვეყნების მხარეზე და იარაღით ხელში მათ დაიცავდა. ნამდვილათ კი მოსკოვი იმის ფიქრში იყო, თუ როგორ სხვები დაერეოდენ ერთმანეთს, ბრძოლის პროცესში მოიღლებოდენ, ყველანი სათითაოდ და ერთად დასუსტებოდენ და აქედან შემდეგ ბოლშევიკები თავიანთი შემრნახული ძალებით ბევრ რამეთი ისარგებლებდენ.

უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საინტერესო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს რუსეთში. სტალინის პოლიტიკის წყალობით ეხლა იქ დღითი დღე იზრდება და ვითარდება დიდმყრობელური რუსული ნაციონალიზმი და შოვინიზმი. ამ რეკაციონერ მემპრაჯვნე ძალებს ხვალ ადვილად შეუძლიათ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ და სტალინით სათავეში, ან უიმისოთ შეეცადონ გერმანიას დაუახლოვდეს და მასთან შეკრნან კავშირი. ასეთი რამ არ არის მოულოდნელი და ამას შეიძლება მოყვეს მდგომარეობის უფრო გართულება და ჩაგრულ ერთა კიდევ უარეს პირობებში მოქცევა.

გერმანიის დღევანდელ მართველ პირებმა კარგად იციან რუსეთის შინაური მდგომარეობა და იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული სხვადასხვა ერთა უკმაყოფილება. ეხლა იქიდან გადმოისროლეს ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი. მაგრამ ეს ლოზუნგი ყველას ერთნაირად არ ესმის, ყველა მასში თავის შინაარს სდვნის და ყველას უნდა ის თავისებურად გამოიყენოს.

ვიმეორებ, რომ საბჭოთა რუსეთის თავდაცვითი შესაძლებლობა დიდი არ არის. ხვალ რომ გერმანიას და რუსეთს შორის კონფლიქტი მოხდეს, იმ ერებს, რომელნიც კავშირის ფარგლებშია დღეს მომწყვდეული და ბოლშევიკური რეჟიმით განაწამები არიან, ვერავითარი ძალით თქვენ ვერ დაამგრეხთ, რომ ისინი ამ რეჟიმს არ შებრძოლონ.

ჩვენ აქ მოგვიწოდებენ, რომ მოსალოდნელ კონფლიქტის დროს საბჭოთა კავშირი დავიცვათ. ის პარტია, რომელიც თავისთავს მსაზღრს და ეროვნულ პარტიას უწოდებს. ამას ვერ იზამს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის 2 დღეში გაკრეფდოდა და თავის ხალხის თვალში ის მოღალატის სახელს დაიმსახურებდა. საქ. სოც. დემოკრატიაკი ქართველი ხალხის პირშია შელილია და მისი სურვილის და ნების წინააღმდეგ ვერ წავა.

საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ჩაგრულ ერებს ერთ შემთხვევაში შეეძლოთ გამოეჩინათ თავდაცვის დიდი უნარი. ეს იქნებოდა მაშინ, თუ მათ მიეცემოდათ სრული თავისუფლება და ისინი გახდებოდნენ თავის თავის პატრონი და სავსებით დამოუკიდებელნი. ასეთ პირობებში ამ თავისუფალ ერებს თვით შეეძლოთ ერთმანეთ შორის შეეკრათ თავდასაცავათ სამხედრო კავშირიც კი, რათა მდგრად შებრძოლებოდნენ ყველა მათ, ვინც მოინდომებდა მათ წინააღმდეგ გალაშქრებას და ხელახლად მათი თავისუფლების წართმევას.

ამბ. კ. გვარჯალაძე თავის სიტყვას ათავებდა შემდეგი მოწოდებით: ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების ლოზუნგი უნდა მოდიოდეს არა სხვებისაგან, არამედ ინტერნაციონალურ, მასში შემავალმა ყველა სოციალისტურ სექციებმა და. განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირში მომუშავე პარტიებმა უნდა გადმოისროლოს ის, რათა ამით დაეეხმაროთ კავშირში მომწყვდეულ ერებს გახდენ თავიანთი ბედის პატრონი და გადამწყვეტი.

დღის წესრიგის თთავარ საკითხის გამო რეზოლიუციის მიღების დროს შემოტანილ იქნა ერთი კერძო რეზოლიუცია, რომელშიდაც ნათქვამი იყო, რომ დღევანდელ მომენტში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საფრანგეთის, ინგლისის და საბჭოთა კავშირის შორის პოლიტიკური და სამხედრო კოალიციის დამყარება და ამ კოალიციის ირგვლივ ევროპის დემოკრატიის თავმოყრა. ამ რეზოლიუციას მხარს უჭერდნენ: ზორამსკი, ცილესნი, დანი და რუსი სოც.-რევოლიუციონერები. ეს რეზოლიუცია არ გავიდა და ის მოხსნილ იქნა. არ გავიდა არც სხვა წინადადება, რომელსაც მიზნათ ჰქონდა თთავარ საკითხის გამო საერთო რეზოლიუციაში შეეტანა რაიმე ფორმით საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების და კავშირის საჭიროების ცნობა.

წვრილი ჩეხოსლოვაკიიდან

(მეიერ რესპუბლიკა)

ჩვენს უყანასკნელ წერილებში აქედან გატყობინებდით თუ რა დრამატიულ მდგომარეობაში იღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მეოცე წლის თავზე დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და გამოვ თქვამდით ამბრ, რომ უახლოვდებით გადამწყვეტ მომენტებს ამ ერის ცხოვრებაში თქო. მართლაც მოვლენებმა არ დააყოვნეს და თქვენ იცით, რომ ამ წლის 30 სექტემბერს მიუხედავი ოთხ სახელმწიფოთა კარნახით დასრულდა არსებობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის. გამოსულიის 1918 წლის 28 ოქტომბრიდგან, ე. ი. დათავდა ისტორია. როგორც აქ ამბობენ, პირველი რესპუბლიკის და პირველ ოქტომბრიდგან დაიწყო არსებობა მეორე რესპუბლიკის ჩეხთა. სლოვაკთა და კარპატისრუსთა (რუსინთა). მიუხედავად ოთხთა თათბირმა რამოდენიმე საათის განმავლობაში ერთი კალმის მოსმით გაშალა ახალი თავი ჩეხის ერის ისტორიაში და მით ათიკვანა უმწეურვალეს სიფხეურ ზე ეროვნული ტრაღედია პირველი რესპუბლიკის, რომელსაც რამოდენიმე კვირა აშორებდა მისი დაბადების ოცი წლის თავთან.

ყველას მიერ (მოკავშირეების) მიტოვებული ერის წინაშე დასდგა არჩევანი: მიღება მიუხეხელის გადაწყვეტილების თუ სასოწარკვეთილებით ჩეხა აღმდეგობის გაწევა საშინელი ქარიშხალის შუაგულში მყოფის მიერ, სადაც მას დაეხეთქებოდნენ მოწინააღმდეგენი ყოველი მხრიდგან, როგორც გიჟი ტალღები ამბობკრბული ზღვაში. შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა ერმა სიკვდილს არჩია სიცოცხლე, დიდი მწუხარებით, შავში გახვევით. მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით,—არ დაეცეს სული ერათ. არ გაუყოფს წელში და გამოსუნდოს ახალი მომავალი მწარე გამოცდილებით მიღებულ ახალ საფუძველზე.

გასული ოქტომბრის პირველს დაიწყო შემოსვლა ჩეხოსლოვაკიის სახლეგრბში გერმანიის ჯარმა და შეუდგა მასზე გადაცემული ტერიტორიის დაეკრას, რაც გაგრძელდა ათ ოქტომბრამდისა. გუშინ კი (2 ნოემბერს) დათავდა საბოლოოთ ახალი სახლეგრეთით შემოვლება მეორე რესპუბლიკისათვის (გუშინ წინ პოლონეთის, გუშინ ვენგრიის, თანახმათ ვენაში შემდგარ საარბიტრო კომისიის სხდომისა).

თქვენ იცით თუ რა დიდი ზარალი გამოვიდა ჩეხოსლოვაკია ამ. როგორც აქ უძახიან, უომრად დამარცხებულ კამპანიიდგან. მას მოაკლდა ოთხნაგვარი მილიონი (ნალოგეებთან მეტიც) მცხოვრებლები (სუდეტი, სლოვაკია, ტეშინი, კარპატის რუსები). ამათ რიცხვშია ერთი მილიონნი ჩეხი. მას ჰამოაკლდა ამათი ათასი (დაახლოებით) ოთხ. კილ. მიწა-წყალი. დარჩენილი ტერიტორია (არა სრული ისი ათასი ოთხ. კილ.) შეიცავს 10 ნახევარ მილიონ მცხოვრებს ნახევარი მილიონი გერმანელებით. გადაცემულ ტერიტორიაში გადავიდა დიდი ნაწილი პირველ რესპუბლიკაში არსებული უაღრესად განვ-

ვითარებული სამრეწველო დარგების (ნახშირის მაღაროებიანის), ტყეები, მსოფლიოში განთქმული წყლები და აბანოები (გერმანიაში). მან დაკარგა ბუნებრივი ათასწლოვანი სტრატეგიული სახლეურები და თანამედროვე ტეხნიკაზე აგებული ხელოვნური ნაგროები.

ამ ოკუპაციის დაწყებისთანავე დაიწყო ძნელი და მწარე ბრძოლა არსებობისათვის. შექმნილი მდგომარეობა რკინის კანონის ულმობელობით იწვევს გარდაქმნას მთელი სახელმწიფო და სახოგადოებრივი ცხოვრების, დიდ რეორგანიზაციას ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. ვართ მოწმე ახალი გზების ძიების და მიმართულებების მეორე რესპუბლიკის ცხოვრების წარმატებით წასაყვანათ.

ყველაზედ უწინ უნდა გითხრათ, რომ არავითარ უთანხმოებას არ იწვევს ცდა, რომ ახალი საგარო პოლიტიკა უნდა შეუფარდდეს შექმნილ მდგომარეობას, ის უნდა ხელმძღვანელობდეს ოთხ სახელმწიფოთა პაქტით, რადგანაც ეროვნული უმცირესობების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ გერმანია და იტალია ხდებიან მეორე რესპუბლიკის სახლეურების ხელულმცველობის თავდებებნი—ვართ მსხვერპლი მწარე შეცდომების, ძვირად დაგვიჯდა ჩვენი საგარო პოლიტიკის კონცეპცია წარსულში—ეი საერთო აზრი. ახალი კონცეპცია საგარეო პოლიტიკაში უნდა ეყრდნობოდეს მეზობელ სახელმწიფოებთან (გერმანია, პოლონეთი, ვენგრია) კეთილ ურთიერთობაზე და თანამშრომლობაზე და ყველასთან საერთოდ მეგობრულ ნეიტრალიტეტზე. ავტორმა ძველი კონცეპციის, ედვარდ ბენეშმაც კი, თავის გადადგომა დაასაბუთა იმითაც, რომ მისი პიროვნება, როგორც პრეზიდენტის, ხელს შეუშლის იმ ახალ განვითარებას, რომელსაც უნდა შეეგუოს ჩვენი სახელმწიფოო.

გადატრიალებას საგარეო პოლიტიკაში მოაქვს დიდი ცვლილებები საშინაო პოლიტიკაშიც. ნება მომეცით ამ ეროთობ რთულ და ტკივილებით სავსე მოვლენებზე მოვიწერო შემდეგ.

ეხლა კი არ შემიძლია არ მოვიხსენიო, რომ დღევანდელი რესპუბლიკა არის ახალი არა მარტო თავის სახლეურებით, არამედ ის წარმოადგენს ახალ სახელმწიფოებრივ კავშირს, რომლის ნაწილებს შეადგენს ჩეხია (მორავიათი), სლოვაკია და კარპატების უკრაინა. თვითეული ერთეული ყავს თავისი საკუთარი მთავრობა, ენენება საკუთარი პარლამენტი საკუთარი კანონმდებლობით. საერთო იქნება მხოლოდ სამხედრო და საგარეო სამინისტროები, საერთო პრეზიდენტი, რომელსაც ახლო მომავალში აირჩევს არსებული პალატები (ნაციონალური ყრილობა). ეხლავე აშკარაა რომ თვითეულ ავტონომიიერ რესპუბლიკებში განვითარება და ცხოვრება წავა ძალიანი განსხვავებული თავისებური გზებით. ამაზე კი შემდეგ წერილში.

ემ. ლიმ—ძე.

პრაღა, 3 ნოემბერი.

ერთი «კრიტიკის» გამო.

ყველასათვის გასაგებია, თუ რა სიძნელეს წარ მოადგენს ემიგრაციის ჯოჯოხეთურ პირობებში და პოლიტიკით გაყვნენთილ ატმოსფერაში ლიტერატურული მუშაობა. მაინც კ გამოჩნდნენ პირები, რომლებიც ამ მხრივ იღწვიან და შედეგსაც აღწევენ. ამაო რიცხვთა ლეფსპირელი, რომელმაც თავის პირველი წიგნი—«დანგრეული ოჯახი» გამოსცა. წაიკითხე («კავკასია» № 10) ბ-ნ რ. გაბაშვილის ლანძღვა-გინება მის შესახებ, რამაც ჩემში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ ლეფსპირელის წიგნს თანაგრძნობით შევხვდით, ის შესაფერისად შეაფასეს სხვა და სხვა ბეჭდვითი ორგანოებში დამსახურებულმა პირებმა. ლეფსპირელის ენა მარტივი და გასაგებია. მისი გურული გლეხის პროვინციალიზმის სწორ გადმოცემაში არის მხატვრული ღირსებაც. ზოგი ნაკლი კი ყოველივე ლიტერატურულ ნაწარმოებს მოეხახება.

შეუძლებელი იყო ბ-ნ გაბაშვილს მოსწონებოდა ამ წიგნის პოლიტიკური შინაარსი. მაგრამ, რამდენად უნდა იყვეს ადამიანი ფანატიკური, ჯგუფურ-პოლიტიკური მიკერძოებით დაავადმოფფებული, რომ მან «დანგრეული ოჯ.»-ში არ დაინახოს ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებული სურათები, მხატვრულად წარმოდგენილი და, რაც უმთავრესია მწერლისთვის,—ტიპების სწორი ფსიქოლოგიური გადმოცემა. ასეთმა უმართებულო თავდასხმამ და უდიერი ლანძღვის სიტყვებმა, არ უნდა იმოქმედოს მათზე, ვინც სხვადასხვა სახით ემიგრაციაში ეწევიან ლიტერატურულ მუშაობას, მათ ყურადღება არ უნდა მიაქციონ უსაქმური ხალხის მასხარაობას და გაათკეცებული ენერგიით გააგრძელონ თავიანთი მოღვაწეობა.

შეითხველი.

გამოსულია ინგლისურ ენაზე ყურნალი «Georgica»-ს ხუთი ნომერი სამ ტომათ, რომელშიდაც მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილები საქართველოს შესახებ.

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ლეფსპირელს დაუწერია ისტორიული რომანი—«ქალაქის ღამე». მას აზრათ აქვს ამ მოკლე ხანში ის წაუკითხოს ლიტერატურულ წრეს.

„ბრძოლის ზმა"-ს ეძებედიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

Mr Eradzé
10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ამავე მისამართით შეიძლება გაზეთის გამოწერა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill* Le Gérant : René Toussaint.